ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 6

ქ. ლანჩხუთი **22.05.2023 წელი**
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე.
კომისიის წევრები: კარლო კვიტაიშვილი, გიორგი იმნაიშვილი, გოჩა ჯანაშია, ალექსანდრე მახათაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: კახაბერ ასკურავა, გივი ცინცაძე, ვლადიმერ ნანაძე, გიორგი ჩახვაძე.

კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე, ირაკლი ხუხუნაიშვილი/

2.სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე 5; წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, სხვადასხვა პერიოდში, ერთი და იგივე შინაარსობრივი განცხადებით, წერილობით მომართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებმა პირებმა, (ციალა ლომაძემ - (კანცელარიის 19/302302545-30 25/01/2023), მარინა ორაგველიძემ - (კანცელარიის 19/302302546 25/01/2023), ნანა ურუშაძე - ძიმისტარიშვილმა - (კანცელარიის 19/302305426-30 23/02/2023), მარინა თავართქილაძემ - (კანცელარიის 19/302305440-30 23/02/2023), ანზორ კვერენჩხილაძემ - (კანცელარიის 19/302305441–30 23/02/2023) და ეთერ ხუტულაიშვილმა - კანცელარიის (19/302305442-30 23/02/2023), რომლებმაც--ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის, კერძოდ სარგებლობის ქირის საფასურის გაუხდელობის გამო, ითხოვეს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის განმარტებით, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, უფლებამოსილია გადაწყვიტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი, აგრეთვე, მართვის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლების საკითხი, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა, ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად თბილისის მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი გამონაკლისის გათვალისწინებით. მისივე განმარტებით მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები ზემოაღნიშნული პირები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და **მიიღო გადაწყვეტილება:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **/ ზაზა წულაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის დასკვნა №6

22.05.2023 წელი
12.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 22 მაისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე, ირაკლი ხუხუნაიშვილი/

დღის წესრიგის პირველი საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22.05. 2023 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	11 55	
2	ალექსანდრე მახათაძე	11 55	
3	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
4	გიორგი იმნაიშვილი	11 58	
5	ვლადიმერ ნანაძე	ან ესწრებოდა	
6	გიორგი ჩახვაძე	ან ესწრებოდა	
7	გივი ცინცაძე	ან ესწრებოდა	
8	კახაბერ ასკურავა	ან ესწრებოდა	
9	გოჩა ჯანაშია	11 55	